პროექტი

საქართველოს კანონი ნადირობის შესახებ

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

1. ეს კანონი აწესრიგებს ნადირობის როგორც გარეულ ცხოველთა სამყაროს ობიექტების მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად სარგებლობისა და ნადირობის მართვასთან დაკავშირებულ სხვა სამართლებრივ ურთიერთობებს.

2. გარეულ ცხოველთა და მათი საბინადრო გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება ბიომრავალფეროვნების დაცვის, დაცული ტერიტორიებისა და ტყის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სამინისტრო - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო;

ბ) მინისტრი - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი;

გ) მეურნეობა~~ფედერაცია~~ - საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ეროვნული საშენი მეურნეობა, რომლის მიზანია ადგილობრივი ფლორისა და ფაუნის, მათ შორის, იშვიათი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების შენარჩუნებისა და გამრავლებისათვის ხელის შეწყობა, ასეთი სახეობების მოპოვება, მოშენება, მოვლა და სხვა~~ამ კანონისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე დაფუძნებული საქართველოს მონადირეთა ეროვნული ფედერაცია~~;

დ) სამონადირეო ტერიტორია - ტერიტორიული ერთიანობა, რომელიც გამოყოფილია სამონადირეო ტერიტორიის მართველის ნადირობის უფლების განხორციელების მიზნებისათვის;

ე) სამონადირეო ტერიტორიის მმართველი - ამ კანონით განსაზღვრული პირი, რომელსაც გარკვეული უფლებებითა და მოვალეობებით სამართავად გადაცემული აქვს სამონადირეო ტერიტორია;

ვ) ნადირობა - ნადირობის უფლება და ნადირობის განხორციელება;

ზ) ნადირობის უფლება - სამონადირეო ტერიტორიაზე ნადირობის განხორციელების მართვის უფლება, რომელიც გულისხმობს ამ კანონით დადგენილ შესაბამის უფლებებსა და მოვალეობებს;

თ) ნადირობის განხორციელება - მონადირის სტატუსის მქონე პირის მიერ სამონადირეო ტერიტორიაზე ნადირობისათვის ნებადართული საშუალებების გამოყენებით ნადირის კვალზე დადგომა, მისი ადგილსამყოფელის დადგენა, შეპყრობა, მოკვლა ან/და გარემოდან ამოღება.

2. ამ კანონში გამოყენებული სხვა ტერმინები განმარტებული უნდა იქნეს შესაბამის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, თუ ის არ ეწინააღმდეგება ამ ამ კანონის მიზნებს.

3. ამ კანონში მითითებული ვადების ათვლისას საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეები არ იანგარიშება.

მუხლი 3. კანონის მიზანი

1. ამ კანონის მიზანია:

ა) ნადირობის, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, შენარჩუნება, ასევე, სოციალური თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული ნადირობის უფლების განხორციელების უზრუნველყოფა;

ბ) გარეული ცხოველებისა და მათი საბინადრო გარემოს ზრუნვის ვალდებულებაზე დაფუძნებული სანადირო სახეობებით მდგრადი სარგებლობის უზრუნველყოფა;

გ) ნადირობამ საფრთხე არ შეუქმნას გარემოს, მოსახლეობას და საკუთრებას;

დ) გარეულ ცხოველთა მიმართ სასტიკი მოპყრობისა და წამების თავიდან აცილება.

2. კანონის მიზანია აგრეთვე თვითრეგულირებაზე დაფუძნებული სამონადირეო ორგანიზაციული წარმონაქმნების შექმნისა და საქმიანობის სამართლებრივი მოწესრიგება.

მუხლი 4. გარეულ ცხოველზე საკუთრების უფლება და ნადირობის უფლება

1. საქართველოში გარეულ ცხოველზე საკუთრების უფლება აქვს სახელმწიფოს.

2. გარეულ ცხოველთა სანადირო სახეობები (შემდეგში - სანადირო სახეობა) განისაზღვრება ამ კანონის 22-ე მუხლით შესაბამისად.

3. სანადირო სახეობაზე ნადირობის უფლების გადაცემა ხდება სამონადირეო ტერიტორიის მმართველისთვის, ამ კანონით დადგენილი წესით.

4. ნანადირევზე საკუთრების უფლება გადაეცემა ხდება ამ კანონით დადგენილი წესით.

5. ნადირობის უფლება განუყოფელია გარეულ ცხოველთა სახეობებსა და მათი ბუნებრივ საარსებო გარემოზე ზრუნვის ვალდებულებისაგან, რომლის მიზანია ბიოლოგიური მრავალფეროვნების და სახეობათა შენარჩუნებისა და მდგრადი სარგებლობის უზრუნველყოფა.

6. სამონადირეო ტერიტორიის მოწყობა ხდება შემდეგი წესების დაცვით:

ა) სანადირო სახეობის მდგრადი მენეჯმენტის მიზნითა და სოციალურ-ეკონომიკური კრიტერიუმების შესაბამისად სამონადირეოდ ტერიტორიად გამოყოფა (თავი II);

ბ) სამონადირეო ტერიტორიის გადაცემა სამონადირეო ტერიტორიის მმართველისათვის (თავი III);

გ) სამონადირეო ტერიტორიის მართვა (თავი IV).

7. ნადირობა დასაშვებია მხოლოდ სამონადირეო ტერიტორიაზე.

მუხლი 5. დამოუკიდებელი კომისია

1. სამონადირეო ტერიტორიის გამოყოფის, მის სამართავად გადაცემის და სანადირო კვოტების დადგენის თაობაზე გადაწყვეტილების მომზადების მიზნით მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე იქმნება დამოუკიდებელი კომისია (შემდგომში - კომისია)

2. კომისიის შემადგენლობაში შესაძლებელია შედიოდნენ სამინისტროს, სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს, სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტოს, მეურნეობის~~ფედერაციის~~, შესაბამისი სამეცნიერო ინსტიტუტებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, სხვა დაინტერესებული პირები, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში, აგრეთვე, შესაბამისი დაინტერესებული მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი.

3. კომისია გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VII თავით დადგენილი წესების შესაბამისად.

4. კომისის საქმიანობა აწესრიგდება დებულებით, რომელსაც მისივე წარდგინებით ამტკიცებს მინისტრი.

თავი II. სამონადირეო ტერიტორიის გამოყოფა

მუხლი 6. სამონადირეო ტერიტორიის გამოყოფის ზოგადი ~~კრიტერიუმები~~წინაპირობები

1. სამონადირეო ტერიტორიის გამოყოფა დასაშვებია სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტის ან/და კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე.

2. სამონადირეო ტერიტორიის გამოყოფა დაუშვებელია სახელმწიფო ნაკრძალების, ეროვნულ პარკების მკაცრი რეჟიმის დაცვის ზონებში, ბუნებრივ ძეგლებში და მჭიდროდ დასახლებული პუნქტების ზონაში.

3. ცალკეული სამონადირეო ტერიტორიის მოცულობა არ უნდა იყოს იმდენად მცირე, რომლის ფარგლებში შეუძლებელი იქნება სანადირო სახეობების მდგრადი მართვა და სარგებლობა.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული ფართობის ფარგლებში არსებული ტერიტორიული, ეკოლოგიური და ტოპოგრაფიული წინაპირობები უნდა ქმნიდეს როგორც ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებულ მთლიანობას, ისე მოწესრიგებული ნადირობის განხორციელების შესაძლებლობას.

5. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით დადგენილი წინაპირობები განსაზღვრება „სამონადირეო ტერიტორიის გამოყოფის ~~კრიტერიუმების~~ წინაპირობების დადგენის შესახებ“ მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 7. ადმინისტრაციული წარმოება სამონადირეო ტერიტორიის გამოყოფასთან დაკავშირებით

1. სამონადირეო ტერიტორიის გამოყოფის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სამინისტრო, კომისიის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავით დადგენილი წესების შესაბამისად.

2. სამონადირეო ტერიტორიის გამოყოფის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოება იწყება სამინისტრო ინიციატივით ან დაინტერესებული პირის განცხადების (წინადადების) საფუძველზე.

3. დაინტერესებული პირის განცხადება (წინადადება) უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებს და მოიცავდეს ინფორმაციას ამ კანონის მე-6 მუხლით დადგენილი წინაპირობების შესაბამისად, აგრეთვე, წინასაპროექტო დოკუმენტაციას.

4. თუ სამონადირეო ტერიტორიის არეალში მდებარეობს კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, მაშინ ადმინისტრაციული ორგანო შესაბამის მესაკუთრეს აცნობებს ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ და უზრუნველყოფს მის მონაწილეობას წარმოებაში.

5. სამინისტრო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 118-ე მუხლის საფუძველზე, საჯარო გაცნობისთვის წარსადგენი გადაწყვეტილების პროექტის მოსამზადებლად განაცხადსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 5 დღის ვადაში უგზავნის კომისიას. კომისია 20 დღის ვადაში ამზადებს გადაწყვეტილების პროექტს და საჯარო განხილვის მიზნით წარუდგენს სამინისტროს.

6. კომისია ამ კანონის მე-6 მუხლით დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე, აგრეთვე, საზოგადოების, სხვა ადმინისტრაციული ორგანოებისა და კერძო მესაკუთრეების მიერ გამოთქმული მოსაზრებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით, ამზადებს საბოლოო გადაწყვეტილების პროექტს და წარუდგენს მინისტრს.

7. სამინისტრო კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების პროექტის წარდგენიდან 10 დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას სამონადირეო ტერიტორიის გამოყოფის ან გამოყოფაზე უარის თქმის თაობაზე.

8. სამინისტროს გადაწყვეტილება სამონადირეო ტერიტორიის გამოყოფის თაობაზე, როგორც წესი, ძალაშია 30 წლის განმავლობაში. ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია დადგინდეს სხვა ვადა.

მუხლი 8. კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე ნადირობის განხორციელების წესი

1. ამ კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართულ ფიზიკურ პირს უფლება აქვს სამინისტროსაგან მოითხოვოს მისი ნაკვეთზე ნადირობის განხორციელების აკრძალვა. მესაკუთრის თანხმობის გარეშე კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ნადირობის განხორციელება დაუშვებელია.

2. თუ ეთიკური საფუძვლებით გათავისუფლებულ ნაკვეთზე ნადირობადაშვებული ტერიტორიიდან შედის დაჭრილი ნადირი, მაშინ ამ ნაკვეთზე შესაძლებელია ნადირობის განხორციელება იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია დაჭრილი ნადირის გარემოდან ამოსაღებად.

თავი III. სამონადირეო ტერიტორიის სამართავად გადაცემა

მუხლი 9. ზოგადი მოთხოვნები სამონადირეო ტერიტორიის მმართველის მიმართ

1. სამონადირეო ტერიტორია მართვის უფლებით შეიძლება გადაეცეს მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობას, არასამეწარმეო იურიდიული პირს ან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე საქართველოში დარეგისტირებულ იურიდიულ პირს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული იურიდიული პირის მინიმუმ ერთი დამფუძნებელი უნდა იყოს მონადირის სტატუსის მქონე პირი. პირი დაუშვებელია იმავდროულად იყოს ერთზე მეტი სამონადირეო ტერიტორიის მმართველი ხელმძღვანელი ორგანოს წევრი.

3. სამონადირეო ტერიტორია სამონადირეო ტერიტორიის მმართველს გადაეცემა, თუ მის მიმართ არ ფიქსირდება ნადირობის სფეროში ჩადენილი სისხლისსამართლებრივი დანაშაული ან ისეთი ხასიათის გადაცდომა, რომელიც მისი სანდოობის თაობაზე იწვევს დასაბუთებულ ეჭვს.

4. ერთ იურიდიულ პირს დაუშვებელია სამართავად გადაეცეს ერთზე მეტი სამონადირეო ტერიტორია.

მუხლი 10. ადმინისტრაციული წარმოება სამონადირეო ტერიტორიის სამართავად გადაცემასთან დაკავშირებით

1. ამ კანონის II თავით დადგენილი წესის შესაბამისად გამოყოფილი სამონადირეო ტერიტორიის სამართავად გადაცემის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოება იწყება სამინისტროს ინიციატივით ან დაინტერესებული მხარის განცხადების (წინადადების) საფუძველზე. გადაწყვეტილება მიიღება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავის ამ მუხლის შესაბამისად.

2. სამონადირეო ტერიტორიის სამართავად გადაცემის შესაძლებლობის თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის ვადაში სამინისტრო ამზადებს საკონკურსო დოკუმენტაციას და აქვეყნებს მის ოფიციალურ ვებგვერდზე. საკონკურსო დოკუმენტაციის მომზადებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ კანონის მე-11 მუხლით დადგენილი პირობები.

3. ამ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირებს შეუძლიათ საკონკურსო განაცხადის წარდგენა ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად კონკურსის გამოცხადებიდან 40 დღის განმავლობაში, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და ამ კანონის მე-11 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.

4. ელექტრონული ფორმით მიღებული საკონკურსო წინადადებების შეფასებას განაცხადის მიღებისთვის დადგენილი ვადის ამოწურვიდან 20 დღის ვადაში ახორციელებს კომისია და გამარჯვებული კონკურსანტის თაობაზე შუალედური გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს მინისტრს.

5. მინისტრის შუალედური გადაწყვეტილების საჯარო გაცნობა ხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 118-ე მუხლით დადგენული წესის შესაბამისად.

6. მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სამონადირეო ტერიტორიის სამართავად გადაცემის თაობაზე გამოიცემა ზეპირი მოსმენის გამართვიდან 10 დღის ვადაში. სამონადირეო ტერიტორიის სამართავად გადაცემა ხდება არანაკლებ 10 წლის ვადით.

7. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში სამინისტროსა და გამარჯვებულ კონკურსანტს შორის იდება ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომელიც სულ მცირე უნდა მოიცავდეს ხელშეკრულების საგანს, ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მხარეთა უფლება-მოვალეობებს და პასუხისმგებლობას მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის. ხელშეკრულების სტანდარტული ფორმა და პირობები დგინდება მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 11. საკონკურსო წინადადების შერჩევის კრიტერიუმები

1. კომისია საკონკურსო წინადადებების შერჩევას ახდენს შემდეგი კრიტერიუმებს გათვალისწინებით:

ა) ინფორმაცია პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების შესახებ;

ბ) სამონადირეო ტერიტორიის მენეჯმენტის კონცეფცია (კონცეპტუალური გეგმა);

გ) ინფორმაცია ადგილობრივი სიტუაციის ცოდნის თაობაზე;

დ) ფინანსური გეგმა (საჭიროების შემთხვევაში).

2. საკონკურსო დოკუმენტაცია ასევე უნდა მოიცავდეს ამ კანონის მე-9 მუხლით განსაზღვრული წინაპირობებისთვის რელევანტურ ინფორმაციას.

3. საკონკურსო წინადადების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს ისეთ იურიდიულ პირს, რომლის წევრთა უმრავლესობაში არის სამონადირეო ტერიტორიის არეალში მდებარე მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, მოსარგებლე ან/და შესაბამისი მუნიციპალიტეტის მაცხოვრებელი.

4. საკონკურსო წინადადების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას დამატებითი უპირატესობა ენიჭება ასევე იმ იურიდიულ პირს, რომელიც ორიენტირებული არ არის მოგებაზე.

თავი IV. სამონადირეო ტერიტორიისა და სანადირო სახეობათა მენეჯმენტი და მონიტორინგი

მუხლი 12. სამონადირეო ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმა

1. სამონადირეო ტერიტორიის მმართველი სამონადირეო ტერიტორიის სამართავად გადაცემიდან არაუგვიანეს ერთი წლისა შეიმუშავებს სამონადირეო ტერიტორიის 10 წლიან მენეჯმენტის გეგმას.

2. სამონადირეო ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმის მიზანია შესაბამის ტერიტორიულ არეალში ცხოველთა სახეობების დაცვის, რეპროდუქციის, მდგრადი სარგებლობისა და მონიტორინგთან დაკავშირებული საქმინობის უზრუნველყოფა, რომელიც არის ნადირობის განხორციელების წინაპირობა.

3. სამონადირეო ტერიტორიის მმართველი სამონადირეო ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმის ვადის ამოწურვამდესამონადირეო ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმის პროექტს არაუგვიანეს 1 წლისა შესათანხმებლად წარუდგენსა ~~ფედერაციის~~ მეურნეობასმეშვეობით ~~სამინისტროს წარუდგენს სამონადირეო ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმის პროექტს~~. მეურნეობა ~~პროექტის სამინისტროში გადაგზავნამდე ფედერაცია~~ ამოწმებს პროექტის ~~მის~~ კანონმდებლობასთან შესაბამისობას ითანხმებს მას სამინისტროს შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით ~~და განმცხადებელს ეხმარება დოკუმენტაციის გამართულად შედგენაში~~.

4. სამონადირეო ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმა უნდა მოიცავდეს:

ა) ინფორმაციას სამონადირეო ტერიტორიის მმართველის შესახებ (სახელწოდება, ორგანიზაციული ფორმა, წევრები, მმართველი ორგანოები, წარმომადგენლობა და სხვა);

ბ) ტერიტორიის აღწერას (მდებარეობა, საზღვრები, ტოპოგრაფია, მოცულობა, ლანდშაფტი, სახეობებისა და მათი საბინადრო გარემოს დახასიათება და სხვა), რომელიც, როგორც წესი, შედგება ტექსტური და გრაფიკული ნაწილებისაგან;

გ) ინფორმაციას სამონადირეო ტერიტორიაზე არსებული სანადირო სახეობისა და მათი განვითარების პოტენციალის თაობაზე;

დ) ინფორმაციას სამონადირეო ტერიტორიაზე არასანადირო სახეობისა და მათი საბინადრო გარემოს განვითარების მიზნებისა და ამოცანების თაობაზე;

ე) ინფორმაციას სანადირო და არასანადირო სახეობის~~, ასევე, მათი~~ საბინადრო გარემოს კონსერვაციისა და მონიტორინგის შესახებ;

ვ) მიდგომებს ნადირობის განხორციელებისა და კვოტირების თაობაზე (სახეობების, სქესის და ასაკის მიხედვით);

ზ) ცალკეული ღონისძიებების განხორციელების გეგმა-გრაფიკი.

5. სამონადირეო ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ასევე საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის თაობაზე ამ კანონის 26-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები.

6. სამონადირეო ტერიტორიის მმართველი ვალდებულია შეასრულოს ნადირობის მენეჯმენტის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები და სამონადირეო ტერიტორიით ისარგებლოს მხოლოდ ამ გეგმით განსაზღვრული მიზნებითა და ფარგლებში.

7. ნადირობის მენეჯმენტის გეგმის დეტალური სტრუქტურა და შექმნის წესი განისაზღვრება „ნადირობის მენეჯმენტის გეგმის შედგენისა და დამტკიცების წესის შესახებ“ მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 13. სანადირო სახეოებათა მონიტორინგი

Commented [K1]: აღრიცხვა და მონიტორინგი

1. სანადირო სახეოებათა მონიტორინგის მიზანია სანადირო სახეოების პოპულაციის მდგრადი მართვა და სარგებლობის რეგულირება.

2. სანადირო სახეოების მონიტორინგი არის ბიოლოგიური მრავალფეროვნების მონიტორინგის ერთიანი სახელმწიფო სისტემის შემადგენელი ნაწილი, რომელიც ხორციელდება ბიომრავალფეროვნების სფეროს მომწესრიგებელი კანონმდებლობისა და ამ მუხლის შესაბამისად.

3. სამონადირეო სახეობათა მონიტორინგი ხორციელდება როგორც სავალდებულო, ისე დამოუკიდებელი მონიტორინგის ფორმით.

4. სავალდებულო მონიტორინგი ხორციელდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, რომელსაც ორგანიზებას უწევს და აფინანსებს სამონადირეო ტერიტორიის მმართველი. სავალდებულო მონიტორინგი ასევე უნდა მოიცავდეს მონაცემებს მოპოვებული ნადირის თაობაზე მისი ამოღების თარიღის, ადგილის, სახეობისა და ასაკის მიხედვით.

5. დამოუკიდებელი მონიტორინგი შესაძლებელია განხორციელდეს სამინისტროს, სხვა ადმინისტრაციული ორგანოების, სამეცნიერო ინსტიტუტების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ან/და სხვა დაინტერესებული პირების მიერ.

6. სამონადირეო ტერიტორიის მმართველი ვალდებულია მონიტორინგის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია ~~ფედერაციის მეშვეობით~~ წარადგინოს მეურნეობა~~სამინისტრო~~ში წელიწადში ერთხელ, ნადირობის ყოველწლიური კვოტის თაობაზე ვადის დადგენამდე~~მოთხოვნის დაყენებამდე~~ არაუგვიანეს 1 კვირისა. ~~ინფორმაციის სამინისტროში გადაგზავნამდე ფედერაციამ~~ეურნეობა ამოწმებს მის კანონმდებლობასთან შესაბამისობას~~ და განმცხადებელს ეხმარება დოკუმენტაციის გამართულად შედგენაში~~.

7. მეურნეობა ამოწმებს მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობას,~~ფედერაცია~~ ახდენს ~~მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის~~ მის დამუშავებას, შენახვას და ანალიზს~~, რომლსაც გადასცემს სამინისტროს~~, რომელზეც სამინისტროს უნდა ჰქონდეს თავისუფალი წვდომა.

8. სანადირო სახეოების მონიტორინგის მოთოდიკის საკითხი წესრიგდება „სანადირო სახეობათა აღრიცხვისა და მონიტორინგის მეთოდიკის დამტკიცების შესახებ“ მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 14. ნადირობის წლიური და დღიური კვოტა

1. ნადირობის წლიური კვოტა არის სანადირო სახეობის მოპოვების მაქსიმალური ოდენობა სამონადირეო სეზონის განმავლობაში, ხოლო ნადირობის დღიური კვოტა არის სანადირო სახეობის მაქსიმალური ოდენობა ერთი დღის განმავლობაში.

2. წლიური კვოტა დგინდება მხოლოდ იმ სანადირო სახეობაზე, რომლის მდგრადი სარგებლობისთვის საჭიროა მაქსიმალური ლიმიტის დადგენა.

3. დღიური კვოტა დგინდება იმ სანადირო სახეობზე, რომელთა რიცხოვნობა მაღალია ან/და სწრაფად მრავლებადია და შესაბამისად არ საჭიროებენ წლიური კვოტის (ლიმიტის) დადგენას.

4. გარკვეულ სანადირო სახეოებზე შესაძლებელია არ დადგინდეს სავალდებულო წლიური ან დღიური კვ~~ო~~ტა. ასეთ შემთხვევაში სანადირო კვოტის განსაზღვრის უფლებამოსილება აქვს შესაბამისი სამონადირეო ტერიტორიის მმართველს.

5. ინვაზიურ სახეობებზე წლიური ან დღიური კვოტა არ დგინდება.

6. სამონადირეო ტერიტორიის მმართველი ყოველწლიურად, საანგარიშო წლის არაუადრეს 1 მარტისა და არაუგვიანეს 1 ივნისისა მეურნეობასფედერაციის მეშვეობით სამინისტროს შესათანხმებლად წარუდგენს ნადირობის წლიური და დღიური კვოტების პროექტს. მეურნეობა პროექტს ითანხმებს სამინისტროს შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით პროექტის სამინისტროში გადაგზავნამდე ფედერაცია ამოწმებს მის კანონმდებლობასთან შესაბამისობას და განმცხადებელს ეხმარება დოკუმენტაციის გამართულად შედგენაში.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული კვოტირების პროექტი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ტერიტორიის პროდუქტიულობის, მონიტორინგის შედეგების, პოპულაციის ოდენობისა და მისი ტენდენციების თაობაზე.

8. სამინისტრო განცხადების რეგისტრაციიდან 20 დღის ვადაში კომისიის დასკვნის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას სანადირო კვოტების დამტკიცების თაობაზე.

9. სამინისტრო უფლებამოსილია დღიური ლიმიტი ასევე დაადგინოს სანადირო სეზონზე ცალკეული რეგიონისთვის. ასეთ შემთხვევაში სანადირო ტერიტორიისთვის სპეციალური დღიური ლიმიტი დგინდება მხოლოდ მაშინ, თუ ის გამართლებულია ამ ტერიტორიის სპეციფიკის გათვალისწინებით, ამ მუხლის მე-6-მე-8 პუნქტით განსაზღვრული წესით.

10. სამონადირეო ტერიტორიის მმართველი უფლებამოსილია სამონადირეო ტერიტორიაზე მოიპოვოს ნადირი მხოლოდ დადგენილი კვოტების ფარგლებში, გარდა ამ მუხლის მე-4-მე-5 პუნქტებით განსაზღვრული შემთხვევისა.

მუხლი 15. სამონადირეო ტერიტორიაზე ნადირობის განხორციელება და ნადირობის საფასურისა და მოსაკრებლის გადახდა

1. სამონადირეო ტერიტორიის მმართველს სანადირო სახეობის მოპოვების უფლება გადაეცემა კვოტით ან კვოტის გარეშე ამ კანონის მე-14 მუხლით დადგენილი წესით.

2. სამონადირეო ტერიტორიაზე დადგენილი კვოტების ფარგლებში სამონადირეო ტერიტორიის მმართველი უფლებამოსილია მესამე პირებს (მონადირეს) მისცეს ნადირობის განხორცელების უფლება.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი უფლების გადაცემა ხდება მხარეებს შორის სათანადოდ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელშიც უნდა მიეთითოს სანადირო სახეობის კონკრეტული სახეობა, მისი კონკრეტულ დახასიათებას და რაოდენობა.

4. სამონადირეო ტერიტორიისთვის დადგენილი წლიური კვოტის მინიმუმ 30% ხელმისაწვდომი უნდა იყოს სამონადირეო ტერიტორიის მმართველი იურიდიული პირის არაწევრი მონადირეებისთვისაც. ამ მიზნებისთვის სამონადირეო ტერიტორიის მმართველის მიერ უნდა მოხდეს დაინტერესებული პირების ინფორმირება შესაბამისი საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით.

5. სამონადირეო ტერიტორიაში ნადირობის საფასური და მოთხოვნები მონადირეების მიმართ (მათშორის მათი პასუხისმგებლობის დაზღვევის საკითხი) დგინდება სამონადირეო ტერიტორიის მმართველის გამგეობის გადაწყვეტილებით.

6. ნანადირევზე საკუთრების უფლების მონადირეზე გადასვლის საკითხი წესრიგდება მონადირესა და სამონადირეო ტერიტორიის მმართველს შორის დადებული ხელშეკრულებით.

7. კვოტით დადგენილ ფარგლებში განხორციელებული ნანადირევისთვის მოსაკრებლის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 16. დაცული სახეობების სანადირო მიზნებისთვის გამოყენება

1. დაცული სახეობების სანადირო მიზნებისთვის გამოყენება რეგულირდება ბიომრავალფეროვნების სფეროში მოქმედი კანონმდებლობისა და ამ მუხლით განსაზღვრული წესების შესაბამისად.

2. სამონადირეო ტერიტორიის მმართველი, რომელიც ახორციელებს დაცული სახეობების ბუნებრივი გარემოდან ამოღებას და ტყვეობაში გამრავლებას მათი შემდგომში მოპოვების მიზნით, ვალდებულია:

ა) დაიცვას შესაბამის სახეობათა კონსერვაციის ეროვნულ სამოქმედო გეგმის მოთხოვნები, რითაც უნდა დასტურდებოდეს, რომ ამ სახეობათა მოწესრიგებული გამოყენება სანადირო მიზნებისთვის ხელს შეუწყობს მისი კონსერვაციის სტატუსის გაუმჯობესებას;

ბ) სამონადირეო ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმაში დაასაბუთოს, რომ დაცული სახეობები გამოყენებული იქნება მოწესრიგებულად;

გ) სამონადირეო ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმაში მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე გააკეთოს შესაბამის სახეობათა სანადირო მიზნით გამოყენების კონსერვაციის სტატუსზე მოსალოდნელი გავლენის შეფასება;

დ) შესაბამისი სახეობის ბუნებრივი გარემოდან ამოღება აწარმოოს სამინისტროს უფლებამოსილი თანამშრომლის თანდასწრებით, რომელიც ადგენს მათი გარემოდან ამოღების აქტს, რომელშიც აღინიშნება:

დ.ა) ბუნებრივი გარემოდან ამოღებული სახეობა, ზომა და სქესი;

დ.ბ) სახეობის ბუნებრივი გარემოდან ამოღების ადგილი და დრო;

ე) ამ მუხლის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია გაუგზავნოს მეურნეობასფედერაციას;

ვ) ბუნებრივი გარემოდან ამოღებულ შესაბამის სახეობას ინდივიდუალური იდენტიფიკაციის მიზნით გაუკეთოს ისეთი სპეციალური მარკირება, რაც დამაზიანებელი არ იქნება მისი ჯანმრთელობისთვის და არ შეუზღუდავს მის ბუნებრივ გარემოში ნორმალურ არსებობას.

3. ბუნებრივი გარემოდან ამოღებული სახეობა ან/და გამრავლების შედეგად მიღებული რეპროდუქციული სახეობები სანადირო ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმის შესაბამისად დაბრუნებული უნდა იქნეს ბუნებრივ გარემოში სამინისტროსთან შეთანხმებით და მისი წარმომადგენლის თანდასწრებით.

4. ამ მუხლის მე-3 პუნაქტის საუძველზე ბუნებაში დაბრუნებული ნადირი შესაძლებელია ყოველწლიურ კვოტაში აისახოს სანადირო ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმით დადგენილი წესის შესაბამისად.

5. ამ კანონის მიზნებისთვის უპირატესობა ენიჭება დაცული სახეობების ბუნებრივ გარემოში გამრავლების ხელშეწყობას.

მუხლი 17. სანადიო სახეობათა აღწარმოება

1. სამონადირეო ტერიტორიის მმართველი სახეობათა აღწარმოების მიზნით, ვალდებულია:

ა) სამონადირეო ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმის შესაბამისად უზრუნველყოს სანადირო სახეოებათა, ასევე, სხვა (მათშორის მტაცებელ) სახეობათა მრავალფეროვნებისა და სიცოცხლისუნარიანი პოპულაციების შენარჩუნება, განახორციელოს მათი აღწარმოების პროგრამები;

ბ) განახორციელოს სახეობათა საბინადრო გარემოს საკონსერვაციო ღონისძიებები, მიწის მესაკუთრეთა/მოსარგებლეთა კანონიერი ინტერესების შეულახავად;

ბ) განახორციელოს დაავადებების პროფილაქტიკისა და მათთან ბრძოლის კომპლექსური ღონისძიებანი, სამონადირეო ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმის შესაბამისად.

2. გარეულ ცხოველთა ხელოვნური კვება დაშვებულია მხოლოდ სამონადირეო ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმის შესაბამისად ან საგანგებო სიტუაციებში. საგანგებო რეჟიმში კვება არ უნდა აღემატებოდეს ორ კვირას, გარდა სამინისტროს მიერ დადგენილი საგამონაკლისო შემთხვევებისა.

3. სამონადირეო ტერიტორიის მმართველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს სამინისტროს სახეობების დაავადების, მათი საბინადრო გარემოს გაუარესების, განადგურების საშიშროების წარმოშობისა და დაღუპვის შესახებ და შეუთანხმოს სამოქმედო გეგმა.

მუხლი 18. სანადირო სახეობათა შეპყრობა, გადაყვენა, ტყვეობაში გამრავლება და ბუნებრივ გარემოში დაბრუნება

1. სანადირო ცხოველების შეპყრობა, გადაყვანა, ტყვეობაში გამრავლება და ბუნებრივ გარემოში დაბრუნება დასაშვებია ბიომრავალფეროვნების სფეროში მოქმედი კანონმდებლობისა და ამ მუხლით დადგენილი წესების შესაბამისად.

2. სამონადირეო ტერიტორიის მმართველი, რომელიც ახორციელებს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ საქმიანობას, ვალდებულია:

ა) სამონადირეო ტერიტორიის მმართველის მენეჯმენტის გეგმაში დაასაბუთოს სანადირო სახეობათა შეპყრობის, გადაყვანის, ტყვეობაში გამრავლების ან/და ბუნებაში დაბრუნების საჭიროების საკითხი;

ბ) სამინისტროში წარადგინოს შესაბამისი სამოქმედო გეგმა, სადაც დეტალურად უნდა იქნეს განმარტებული დაგეგმილი ღონისძიებები და მოსალოდნელი სარგებლისა და პოტენციური რისკების შეფასება;

გ) იმოქმედოს დამტკიცებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად და მოახდინოს შესაბამისი სახეობის მონიტორინგი და ამის თაობაზე მოახდინოს სამინისტროს რეგულარული ინფორმირება;

დ) გაათავისუფლოს დროებით ტყვეობაში მყოფი ან/და გამრავლებული სახეობა მხოლოდ შესაბამისი ვეტერინარული შემოწმების შემდგომ, სამინისტროს თანხმობის საფუძველზე.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სამოქმედო გეგმა სამინისტროს მიერ უნდა დამტკიცდეს წარდგენიდან 1 თვის ვადაში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით დადგენილი წესით.

მუხლი 19. სამონადირეო ტერიტორიის მმართველის კერძოსამართლებრივი უფლებები

1. სამონადირეო ტერიტორიის მმართველი უფლებამოსილია გამოიყენოს სამონადირეო ტერიტორიის ფარგლებში მოქცეული მიწის ნაკვეთი ნადირობის განხორციელების მიზნებისთვის, გარდა იმ ნაკვეთისა, რომელიც შემოღობილია, ან რომელზეც ამ კანონის მე-8 მუხლის საფუძველზე აკრძალულია ნადირობის განხორციელება.

2. სამონადირეო ტერიტორიის მმართველი უფლებამოსილია სამონადირეო ტერიტორიაზე განათავსოს კვებისა და ნადირობისათვის აუცილებელი სხვადასხვა საშუალებები, რომელიც მყარად არ არის დაკავშირებული მიწის ნაკვეთთან.

3. მიწის ნაკვეთით მოსარგებლე უფლებამოსილია სამონადირეო ტერიტორიის მმართველს მოსთხოვოს ტერიტორიის ამ მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრული საშუალებებისაგან გათავისუფლება, თუ ეს შეთანხმებული არ ყოფილა მასთან და ხელს უშლის მიწის ნაკვეთის ფუნქციურ გამოყენებას.

4. მიწის ნაკვეთთან მყარად დაკავშირებული ნადირობისათვის საჭირო საშუალებების მოწყობა საჭიროებს მიწის მესაკუთრის წინასწარ წერილობით თანხმობას. სამონადირეო ტერიტორიის მმართველი ვალდებულია გაათავისუფლოს მიწის ნაკვეთი ნადირობის საშუალებებისგან, თუ ის გამოუსადეგარი გახდა ან ამოიწურა მისი ნადირობის უფლების ვადა.

მუხლი 20. სამონადირეო ტერიტორიის მმართველის მიერ ინფორმაციის შეტყობინებისა და თანამშრომლობის ვალდებულება

1. სამონადირეო ტერიტორიის მმართველი საკუთარ სამონადირეო ტერიტორიაზე ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს დადგენილი ფორმით შიდა სააღრიცხვო ჟურნალის, აგრეთვე სამონადირეო ტერიტორიაზე სახეობათა რესურსით სარგებლობის, აღწარმოებისა და დაცვის შიდასააღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოება, რომელიც შესაბამისად უნდა აისახოს მონიტორინგის ანგარიშში;

ბ) ითანაშრომლოს სამინისტროსთან და სხვა უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებთან, წარმოუდგინოს მათ კანონმდებლობით დადგენილი ყველა სახის ინფორმაცია;

გ) ხელი არ შეუშალოს მისთვის გადაცემულ ტერიტორიაზე სამეცნიერო-კვლევით ან/და დამოუკიდებელ მონიტორინგთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარებას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპ~~ბ~~უნქტით განსაზღვრული საქმიანობა წესრიგდება შესაბამისი დებულებით, რომ~~ლის პროექტს ელსაც~~ შეიმუშავებს მეურნეობა~~ფედერაცია~~ და ამტკიცებს მინისტრი.

თავი V. მონადირე და ნადირობის წესები

მუხლი 21. მონადირე, მონადირის ტესტირება

1. მონადირე/ბაზიერი არის პირი, რომელსაც შესაბამისი ტესტირების საფუძველზე მოპოვებული აქვს მონადირის/ბაზიერის მოწმობა~~ და გაწევრიანებულია ფედერაციაში~~.

2. ტესტირების გავლის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან, თუ მის მიმართ შესაბამისი ფსიქიატრიული და ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად დასტურდება, რომ მას შეუძლია განახორციელოს ნადირობა კანონისა და პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით.

3. მონადირეთა ტესტირება ატარებს მეურნეობა~~ფედერაცია~~. ტესტირება აგრეთვე შეიძლება ჩაატაროს სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ (შემდგომში - მომსახურების სააგენტო), მეურნეობასთან~~ფედერაციასთან~~ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

4. ტესტირება, როგორც წესი, შედგება თეორიული და პრაქტიკული ნაწილისაგან. ტესტირება ტარდება სახელმწიფო ენაზე.

5. თუ ტესტირება ტარდება მეურნეობის მიერ, ტესტირების ჩატარების წესის პროექტს ~~და საგამოცდო კომისიის დებულების პროექტს~~ შეიმუშავებს თვითონ მეურნეობა~~ფედერაცია~~ და დასამტკიცებლად წარუდგენს მინისტრს.

6. ტესტირების წარმატებით გავლის შემდეგ პირი იღებს ნადირობის მოწმობას, რომელსაც გასცემს ~~ფედერაცია~~მეურნეობა ან მომსახურების სააგენტო (დელეგირების შემთხვევაში).

7. ნადირობის მოწმობა მოქმედებს უვადოთ.

8. უცხო ქვეყნის მოქალაქის ნადირობის მოწმობა საქართველოს ტერიტორიაზე ავტომატურად მოქმედებს ერთი თვის ვადით. თუ უცხო ქვეყნის მოქალაქის საქართველოში ყოფნა აღემატება ერთ თვეს, მაშინ მან უნდა მიიღოს ნადირობის მოწმობა ამ მუხლით დდგენული წესების შესაბამისად.

9. საქართველოს მოქალაქეს 16 წლის ასაკიდან, ტესტირების გავლის საფუძველზე, შეიძლება მიეცეს ნადირობის დროებითი მოწმობა, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2 წლით. ნადირობის დროებითი მოწმობის საფუძველზე ნადირობა და სანადირო იარაღის ტარება შესაძლებელია მხოლოდ მონადირის უშუალო ზედამხედველობის და პასუხისმგებლობის ქვეშ. დროებითი მოწმობის ვადის გასვლის შემდეგ პირზე ავტომატურად გაიცემა ნადირობის მუდმივი მოწმობა, თუ მის მიმართ არ ფიქსირდება ისეთი დარღვევა, რომელიც ნადირობის მოწმობის გაცემაზე უარის თქმის, ან ნადირობის მოწმობისჩამორთმევის საფუძველია.

~~10. თუ მონადირე ორი წლის განმავლობაში არ იხდის საწევროს, მაშინ ის გაირიცხება ფედერაციის წევრობიდან. ასეთ შემთხვევაში ფედერაცია იღებს გადაწყვეტილებას მის მიმართ გაცემული მოწმობის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.~~

10~~1~~. ნადირობის მოწმობის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველია ასევე ამ კანონის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობა.

მუხლი 22. სანადირო სახეობა

1. გარეულ ცხოველთა სანადირო სახეობების განსაზღვრა უნდა ეფუძნებოდეს ცალკეული პოპულაციის ოდენობის, მისი გეოგრაფიული ლოკაციისა და გამრავლების უნარის თაობაზე შესაბამის მეცნიერულ კვლევებსა და ცოდნას.

2. დაცული სახეობები შესაძლებელია ამ კანონის მე-16 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად მიჩნიულ იქნას სანადირო სახეობად, თუ მათი მოწესრიგებული ნადირობა მიზანშეწონილია მათი გამრავლებისა და დაცვის თვალსაზრისით.

3. ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადება უნდა ემყარებოდეს ბერნის კონვენციით, ფრინველთა კონსერვაციის შესახებ ევროკავშირის 2009/147/EC დირექტივით და ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ ევროკავშირის 92/43/EC დირექტივით დადგენილ მოთხოვნებს, რომლის კონკრეტიზაციისას

გათვალისწინებული უნდა იქნეს ცხოველთა დაცვის ინტერესისა და ნადირობის ინტერესის პროპორციულობა.

4. სანადირო სახეობები დგინდება „სანადირო სახეობათა ჩამონათვალის, მათი მოპოვების საშუალებების და მათი მოპოვების ვადების განსაზღვრის შესახებ“ მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 23. სანადიროდ დაშვებული იარაღები და მეთოდები

1. აკრძალულია ყველა სხვა იარაღით ნადირობა, რომელიც მითითებული არ არის „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლში.

2. აკრძალულია სანადირო სახეობათა არასელექტიური ხასიათის მეთოდებით დაჭერა ან მოკვლა, რომლის გამოყენებამ მოცემულ ტერიტორიაზე შესაძლებელია გამოიწვიოს სახეობათა დაღუპვა ან მნიშვნელოვანი შეშფოთება, მათშორის აკრძალულია:

ა) ტექნიკური ვიზუალური სისტემების გამოყენება (მაგალითად, ლაზერული პროექტორები ან გამოსახულების გამადიდებლები);

ბ) დაბრმავებული ან დამახინჯებული ცოცხალი ფრინველების სატყუარად გამოყენება;

გ) აუდიო-ხმოვანი მატყუარების გამოყენება;

დ) ყველა ტიპის ხაფანგის, მარყუჟის ან/და ბადეების გამოყენება, გარდა იმ ტიპისა, რომელთა მეშვეობით გარანტირებული იქნება სანადირო სახეობის უვნებლად დაჭერა;

ე) მომაკვდინებელი ან/და დამარეტიანებელი საწამლავის, წებოს, ასაფეთქებელი ნივთიერებების, გაზის, კვამლის, მცენარეულ საფარზე ცეცხლის წაკიდების, ელექტრონული ან მსგავსი მოწყობილობების გამოყენება;

ვ) ავტომატური ცეცხლსასროლი სანადირო იარაღის გამოყენება;

ზ) ნახევრადავტომატური ცეცხლსასროლი სანადირო იარაღის გამოყენება, თუ მასში ორზე მეტი ვაზნაა მოთავსებული;

თ) გლუვლულიანი და ხრახნლულიანი თოფებისთვის ტყვიის შემცველი მასალის გამოყენება;

ი) ნებისმიერი ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებიდან ნადირობა.

3. მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება დაშვებულია მხოლოდ დაჭრილი ცხოველის მოსაკლავად, თუ ის ამისთვის შესაბამისი სიძლიერეისაა.

4. ამ მუხლით განსაზღვრული სანადირო იარაღისა და მეთოდების საკითხი წესრიგდება „სანადირო სახეობათა ჩამონათვალის, მათი მოპოვების საშუალებების და მათი მოპოვების ვადების განსაზღვრის შესახებ“ მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 24. მონადირე დამჭერი ფრინველები (ბაზი)

1. მონადირე დამჭერ ფრინველთა სახეობა, რომელთა ნადირობის მიზნით გარემოდან ამოღება და ნადირობისთვის გამოყენება დასაშვებია, დგინდება მინისტრის ბრძანებით. სანადიროდ დაშვებული

დაცული სახეობის შემთხვევაში მოქმედებს ამ კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პრინციპები.

2. მონადირე დამჭერ ფრინველთა ტყვეობაში გამრავლება და ბუნებაში გაშვების საკითხი წესრიგდება ამ კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად.

3. მტაცებელი ფრინველის ყოლისას დაცული უნდა იქნეს ყველა პირობა, რათა საფრთხე არ შეექმნას მის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

4. მონადირე დამჭერი ფრინველი უნდა იყოს მარკირებული და რეგისტრირებული სამინისტროში, რაც მისი კანონიერად ფლობის დამადასტურებელი აქტია.

5. ამ მუხლით დადგენილი წესები დგინდება „მონადირე დამჭერ ფრინველთა სახეობის (ბაზის) გარემოდან ამოღების, ყოლისა და მათი სარგებლობის წესების შესახებ“ მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 25. მონადირე ძაღლები

1. მონადირე ძაღლების ყოლისთვის რეგისტრაცია სავალდებულო არ არის.

2. მონადირე ძაღლების წვრთნა (დაგეშვა) დაიშვება სამონადირეო ტერიტორიაზე მთელი წლის განმავლობაში, სამონადირეო ტერიტორიის მმართველთან შეთანხმების საფუძველზე.

3. ნადირობისათვის აკრძალულ ვადებში მონადირე ძაღლის მწვრთნელი ვალდებულია ძაღლის დაგეშვისას სანადირო იარაღში იქონიოს მხოლოდ დაუმუხტავი ვაზნები.

მუხლი 26. ცხოველთა შეწუხებისა და არაჰუმანური მოპყრობის აკრძალვა

1. ნადირობისას აკრძალულია არასანადირო გარეულ ცხოველთა შეწუხება. ცხოველთა მკაცრად დაცული და დაცული სახეობების დაცვა შეწუხებისგან პრიორიტეტულია ნადირობის ინტერესებთან შედარებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის განსაზღვრული მოთხოვნა გათვალისწინებული უნდა იქნეს ასევე სანადიროდ დაშვებული იარაღისა და მეთოდების განსაზღვრისას.

3. ყველა დაჭრილი ცხოველის დევნა უნდა განხორციელდეს მხოლოდ სათანადოდ გაწვრთნილი მაძებარი ძაღლის მეშვეობით მანამ, ვიდრე დაჭრილი ცხოველის დაჭერა არ მოხდება ან მისი დაკარგვა არ დადასტურდება.

მუხლი 27. ნადირობის ვადები

1. ნადირობის ვადების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს როგორც სანადირო სახეოების კონსერვაციისა და რეპროდუქციის პირობები, ისე ნადირობის პრაქტიკული განხორციელების რეალური წინაპირობები.

2. დაუშვებელია გადამფრენ ფრინველებზე ნადირობა უკან ბუდობის ადგილზე გადაფრენის პერიოდში.

3. სანადიროდ დაშვებული სახეობებისა და ვადების დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ასევე პოპულაციის ისეთი ჭარბი ზრდა, რაც იწვევს მნიშვნელოვანი ეკოლოგიურ და ეკონომიკურ პრობლემებს, თუ ის მეცნიერული თვალსაზრისით მიზანშეწონილია.

4. ამ მუხლით განსაზღვრული ნადირობის ვადების დადგენა ხდება „სანადირო სახეობათა ჩამონათვალის, მათი მოპოვების საშუალებების და მათი მოპოვების ვადების განსაზღვრის შესახებ“ მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 28. საზოგადოებრივი უსაფრთხოება და მართლწესრიგი

დაუშებელია ნადირობა ტერიტორიაზე, თუ იქ ნადირობის განხორციელება იწვევს საზოგადოებრივი სიმშვიდის, წესრიგისა ან უსაფრთხოების დარღვევას ან საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.

თავი VI. ნადირობის ზედამხედველობა და ზიანის რეგულირება

მუხლი 29. ნადირობის სახელმწიფო ზედამხედველობა

1. ნადირობაზე სახელმწიფო ზედამხედველობა (მათ შორის, კონფისკაციის, პირადი გასინჯვის და ნივთების გასინჯვის, დაკავების, დამრღვევის მიყვანის, ხანდაზმულობის და სხვა მსგავსი საკითხები) ხორციელდება ამ კანონის, „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესების შესაბამისად.

2. ამ კანონით გათვალისწინებული სამართალდარღვევებთან დაკავშირების ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განხილვაზე უფლებამოსილია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლები.

3. ნადირობა შესაბამისი დოკუმენტების გარეშე, აკრძალულ ვადებში, აკრძალულ ადგილებში, აკრძალული მეთოდებით, ასევე, ნანადირევის ტრანსპორტირება შესაბამისი დოკუმენტაციის გარეშე ითვლება ნადირობის წესების დარღვევად და იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

მუხლი 30. ნადირობის შიდა კონტროლი და სამართლებრივი დახმარება

1. სამონადირეო ტერიტორიის მმართველის მიერ შიდა კონტროლის განხორციელების მიზნით შესაბამის სამონადირეო ტერიტორიაზე ინიშნება შესაბამისი უფლებამოსილი პირი (ეგერი), რომელსაც ~~გავლილი აქვს სათანადო სწავლება ფედერაციაში და~~ სათანადო ტესტირების საფუძველზე მეურნეობისგან მიღებული აქვს შესაბამისი მოწმობა.

2. ეგერის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხი წესრიგდება შესაბამისი დებულებით, რომელსაც ~~ფედერაციის~~ მეურნეობის წარდგინებით ამტკიცებს მინისტრი.

3. ეგერი უფლებამოსილია:

ა) გააჩეროს~~ს~~ ნადირობის დამრღვევი პირი და დაადგინონ მისი ვინაობა;

ბ) გადაუდებელ შემთხვევაში მოახდინოს ზედაპირული დათვალიერება და შეადგინოს ოქმი.

4. ეგერი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობთ დადგენილი წესით რეაგირება მოახდინოს ნადირობის წესების დარღვევის ფაქტებზე და შესაბამის ორგანოებს დროულად მიაწოდოს ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე.

მუხლი 31. ნანადირევის ტრანსპორტირების წესი

1. ნადირობის შედეგად გარემოდან ამოღებული სახეობის ტრანსპორტირება დასაშვებია სამონადირეო ტერიტორიის მმართველის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც ადასტურებს სახეობის კანონიერი გზით მოპოვებას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტის ფორმა და გაცემის წესი განისაზღვრება „სანადირო სახეობის გარემოდან ამოღების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის წესის შესახებ“ მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 32. გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობა და ანაზღაურების წესი

1. ნადირობისას გარემოსთვის მიენებული ზიანის ოდენობა დგინდება „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკის“ შესაბამისად.

2. გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 33. მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება

1. მონადირის მიერ ვალდებულების დარღვევით სამონადირეო ტერიტორიაზე მესამე პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელია სამონადირეო ტერიტორიის მმართველი. ეს უკანასკნელი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, რეგრესის წესით, ზიანის ანაზღაურება მოითხოვის მონადირისაგან.

2. სამონადირეო ტერიტორიაზე ბინადარი ჩლიქოსანი (შველი, ირემი, ტახი) ცხოველების მიერ მესამე პირებისათის მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელია სამონადირეო ტერიტორიის მმართველი, თუ ეს გამოწვეულია სამონადირეო ტერიტორიის მმართველის მიერ საკუთარი უფლებამოსილებების არაჯეროვანი შესრულებით.

3. სამონადირეო ტერიტორიის მმართველმა, როგორც წესი, უნდა დააზღვიოს ამ მუხლით განსაზღვრული პასუხისმგებლობა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 34. სამონადირეო ტერიტორიის მმართველისთვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის წესი

სამონადირეო ტერიტორიის მმართველისთვის ნადირობის წესების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება ხდება სამოქალაქო წესით, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ნანადირევის საფასურს, მიუღებელ შემოსავალს და აღდგენითი ღონისძიებებისთვის გასაწევ დანახარჯებს.

~~თავი VII. საქართველოს მონადირეთა ეროვნული ფედერაცია~~

~~მუხლი 35. საქართველოს მონადირეთა ეროვნული ფედერაცია~~

~~1. საქართველოს მონადირეთა ფედერაცია არის პირთა წევრობაზე დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.~~

~~2. ფედერაცია იქმნება საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და ამ კანონის საფუძველზე. ფედერაციის საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები განისაზღვრება ფედერაციის წესდებით.~~

~~3. ფედერაციის ლიკვიდაცია ხდება იმავე წესით, რაც დადგენილია მისი დაფუძნებისათვის.~~

~~მუხლი 36. ფედერაციის უფლებამოსილებები~~

~~1. ფედერაცია:~~

~~ა) უზრუნველყოფს შესაბამისი კურსების ორგანიზებას, ტესტების შემუშავებას და მონადირეთა ეთიკის ნორმების დაცვას;~~

~~ბ) მონაწილეობს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;~~

~~გ) ახორციელებს დამოუკიდებელ მონიტორინგს და ნადირობის სფეროსთან დაკავშირებულ სხვა სახის კვლევებს;~~

~~დ) ახორციელებს ამ კანონით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობას.~~

~~2. ფედერაცია უფლებამოსილია თავისი უფლებამოსილებებისა და მიზნების ეფექტური განხორციელებისათვის შექმნას შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები და დააფუძნოს არაკომერციული, არამომგებიანი მიზნებისთვის ადგილობრივი ან/და რეგიონალური ორგანიზაციული წარმონაქმნი.~~

~~მუხლი 37. ფედერაციის დაფინანსება~~

~~1. ფედერაციის დაფინანსების წყაროა საკუთარი შემოსავლები და გრანტები.~~

~~2. ფედერაციის საერთო კრება ადგენს საფასურს მონადირეთა და სამონადირეო ტერიტორიის მმართველის სავალდებულო წევრობისათვის, რომელსაც დასამტკიცებლად წარუდგენს სამინისტროს.~~

~~3. ფედერაციის შემოსავლები შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ადმინისტრაციული ხარჯებისთვის, სასწავლო პროგრამების განხორციელებისთვის, ტესტირების ორგანიზებისა და მონადირის მოწმობის დამზადებისათვის, შესაბამისი კვლევების განხორციელებისა და სხვა მსგავსი საქმიანობისათვის.~~

~~მუხლი 38. ფედერაციაში გაწევრიანება~~

~~1. ფედერაციაში გაწევრიანება სავალდებულოა ნადირობის მოწმობის მქონე ყველა პირისათვის და სამონადირეო ტერიტორიის მმართველისათვის.~~

~~2. ფედერაციაში წევრობა შეიძლება შეწყდეს:~~

~~ა) თუ კი პირი ნასამართლევია ნადირობის წესების დარღვევისათვის;~~

~~ბ) ფედერაციით დადგენილი ვალდებულებების უხეში დარღვევისთვის;~~

~~გ) ფედერაციის წესდებით განსაზღვრული სხვა საფუძვლების არსებობისას.~~

~~3. ფედერაციის გადაწყვეტილება წევრობის შეწყვეტის თაობაზე შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში დაინტერესებული პირისთვის მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.~~

თავი VII~~I~~. ადმინისტრაციული სამართალდარღვევები

მუხლი 35~~9~~. ნადირობის წესების დარღვევა

1. სამონადირეო ტერიტორიის მოწყობა სათანადო უფლების მოპოვების გარეშე – გამოიწვევს დაჯარიმებას 2 500 ლარის ოდენობით.

2. სამონადირეო ტერიტორიის მმართველის მიერ მიმართ შესაბამისი ხელშეკრულების სავალდებულო პირობებისა და მოთხოვნების დარღვევა – გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.

3. ნადირობის წესების დარღვევა სანადირო სახეობისათვის მიკუთვნებულ ობიექტზე ნადირობისას – გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარიდან 500 ლარამდე, მოპოვებული ობიექტისა და სანადირო იარაღის ან/და მოწყობილობის კონფისკაციით ან უამისოდ.

4. ნადირობის წესის დარღვევა, რომელიც არ გულისხმობს ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევას – გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარიდან 700 ლარამდე, მოპოვებული ობიექტისა და სანადირო იარაღის ან/და მოწყობილობის კონფისკაციით ან უამისოდ.

5. ნანადირევი ობიექტების ტრანსპორტირება სათანადო დოკუმენტაციის გარეშე – გამოიწვევს დაჯარიმებას 800 ლარიდან 1000 ლარამდე, მოპოვებული ობიექტისა და სანადირო იარაღის ან/და მოწყობილობის კონფისკაციით ან უამისოდ.

6. ნადირობა იმ იარაღით, საშუალებით ან მეთოდით, რომლით ნადირობაც აკრძალულია – გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარიდან 2000 ლარამდე, მოპოვებული ობიექტისა და სანადირო იარაღის ან/და მოწყობილობის კონფისკაციით.

შენიშვნა:

1. ამ მუხლის მე-3–მე-5 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში დამატებითი სახდელის სახით სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის კონფისკაცია გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნადირობის განმახორციელებელ პირზე საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ არ არის გაცემული „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შესაბამისი სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და ტარების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

2. ამ მუხლის მე-3–მე-5 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ ნადირობის განმახორციელებელ პირს თან არა აქვს ამ შენიშვნის პირველი ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტი ან ნადირობა აკრძალული სანადირო იარაღით ხორციელდება, სამართალდამრღვევს დროებით, საქმის განხილვამდე ჩამოერთმევა სანადირო იარაღი, ხოლო მისი დაბრუნება ან სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევა ხდება საქმის განხილვის უფლებამოსილების მქონე ორგანოს/თანამდებობის პირის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე.

3. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირს ჩამოერთმევა მოპოვებული ცხოველთა სამყაროს ობიექტი და, თუ მისი მოპოვების შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანი მნიშვნელოვანი არ არის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შემდგენი ორგანო უფლებამოსილია მოპოვებული ცხოველთა სამყაროს ობიექტი დადგენილი წესით დაუყოვნებლივ, უსასყიდლოდ გაანაწილოს სოციალური მიზნებისათვის, ხოლო თუ მოპოვებულ ცხოველთა სამყაროს ობიექტს საკვებად უვარგისობის დამადასტურებელი ნიშნები ახასიათებს (შეცვლილი აქვს ჩვეული ფერი ან/და აღენიშნება ჯანსაღი პროდუქციისათვის უჩვეულო, უსიამოვნო სუნი) – დაუყოვნებლივ გაანადგუროს იგი დამარხვით ან შესაბამის ინსინერატორში დაწვით.

თავი IX. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 3640. არსებული სამონადირეო მეურნეობები

1. ამ კანონის ამოქმედებამდე არსებული სამონადირეო მეურნეობა და მასზე გაცემული ლიცენზია ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.

2. ლიცენზიატზე ვრცელდება ის უფლება-მოვალეობები, რომელიც მის მიმართ მოქმედებდა ამ კანონის ამოქმედებამდე.

მუხლი 3741. ნადირობა გადამფრენ ფრინველებზე

2019 წლის 1 მარტამდე სამონადირეო ტერიტორიის გარეთ ნადირობა გადამფრენ ფრინველებზე ხორციელდება იმავე წესით, რაც დადგენილი იყო ამ კანონის ძალაში შესვლამდე.

მუხლი 3842. ტყვიის შემცველი მასალის აკრძალვა

გლუვლულიანი და ხრახნლულიანი თოფებისთვის ტყვიის შემცველი მასალის გამოყენება დასაშვებია 2019 წლის 1 მარტამდე.

მუხლი 3943. მონადირე და ბაზი გარდამავალ პერიოდში

1. პირი, რომელსაც ამ კანონის ძალაში შესვლამდე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოპოვებული აქვს „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის (შენახვისა და ტარების უფლებით) ნებართვა, უფლება აქვს განცხადებით მიმართოს ფედერაციას და გახდეს მისი წევრი.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრულ პირებს მონადირეთა ფედერაციის წევრობა უნარჩუნდებათ 2019 წლის 1 მარტამდე და ავტომატურად შეუწყდებათ ნადირობის უფლებამოსილება, თუ აღნიშნულ ვადაში არ გაივლიან მონადიერთა ტესტირებას და არ მიიღებენ მონადირის მოწმობას.

3. ამ კანონის ძალაში შესვლამდე არსებული მონადირე ფრინველების (ბაზის) ლეგალიზება ხდება სამინისტროს მიერ დაინტერესებული მხარის განცხადების საფუძველზე, რომელიც სამინისტროს უნდა წარედგინოს ამ კანონის ძალაში შესვლიდან 1 კალედანრული წლის ვადაში.

4. თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული წესით მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება, ბაზის რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს ფედერაციაში.

მუხლი 404. მონადირეთა დროებიითი ფედერაცია და მონადირეთა ფედერაციის პირველი საერთო კრება

1. სამინისტრო კანონის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 1 თვისა ქმნის შესაბამისი პირებისგან შემდგარ მონადირეთა დროებით საბჭოს, რომელსაც უფლებამოსილება უწყდება ფედერაციის დამფუძნებელი კრების ჩატარებისთანავე.

2. მონადირეთა დროებითი საბჭო არაუგვიანეს 2017 წლის 1 სექტემბრისა იწვევს მონადირეთა ფედერაციის დამფუძნებელ კრებას, რომელშიც მონაწილეობის უფლება აქვთ დროებითი საბჭოს წევრებს და პირებს, რომელებიც წერილობით გამოთქვამენ სურვილს დამფუძნებელ კრებაში მონაწილეობის მიღებაზე და აკმაყოფილებენ ამ კანონის 42-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტის მოთხოვნებს.

3. ფედერაციის დამფუძნებელ კრებაზე აირჩევა მმართველი ორგანოები და მტკიცდება ფედერაციის წესდება.

მუხლი 415. მისაღები ნორმატიული აქტები

1. 2017 წლის აპრილამდე მიღებულ იქნეს მინისტრის ბრძანება:

ა) „სანადირო სახეობათა ჩამონათვალის, მათი მოპოვების საშუალებების და მათი მოპოვების ვადების განსაზღვრის შესახებ“;

ბ) „ნადირობის მენეჯმენტის გეგმის შედგენისა და დამტკიცების წესის შესახებ“;

გ) „სამონადირეო ტერიტორიის გამოყოფის ~~კრიტერიუმების~~ წინაპირობების დადგენის შესახებ“;

დ) „სამონადირეო ტერიტორიის სამართავად გადაცემის სტანდარტული ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ“;

ე) „სანადირო სახეობათა აღრიცხვისა და მონიტორინგის მეთოდიკის დამტკიცების შესახებ“;

ვ) „მონადირე დამჭერ ფრინველთა სახეობის (ბაზის) გარემოდან ამოღების, ყოლისა და მათი სარგებლობის წესების შესახებ“;

ზ) „სანადირო სახეობის გარემოდან ამოღების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის წესის შესახებ“.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ნორმატიული აქტები ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

მუხლი 426. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივნისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

განმარტებითი ბარათი

„ნადირობის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

საქართველოში ბოლო წლებში წარმოქმნილმა უკონტროლო ნადირობამ და არაეფექტური (სალიცენზიო) სამონადირეო მეურნეობების მოდელმა, აგრეთვე, მის ფონზე გამოვლენილმა კანონმდებლობის ნაკლოვანებებმა აჩვენა, რომ მოქმედი სამართლებრივი ნორმები ვერ პასუხობენ იმ გამოწვევებს, რაც დღეს ქვეყანაში არსებობს, მითუმეტეს, ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების ჭრილში. ამიტომ დღის წესრიგში დგას ამ სფეროს ახლებურად მოწესრიგების საჭიროება.

კანონპროექტის შემუშავებას საფუძვლად უდევს შემდეგი გარემოებები:

(1) იურიდიული ტექნიკის სრულყოფის თვალსაზრისით, საქართველოში ნადირობის სფეროს მომწესრიგებელი კანონმდებლობა განიცდის უნიფიცირების დეფიციტს. სამართლებრივი ინსტიტუტები გაფანტულია სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში, რის გამოც, ხშირ შემთხვევაში, დარღვეულია ლოგიკური კავშირი ამ ინსტიტუტებს შორის;

(2) ნადირობის სფერო უმეტესად დარეგულირებულია კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მეშვეობით ისე, რომ კანონის დონეზე არ არსებობს ძირითადი შინაარსები, რომელიც უზრუნველყოფდა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ნორმათშემოქმედების უფლებამოსილების განხორციელებას სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპების საფუძველზე (კანონისმიერი დათქმის პრინციპი);

(3) მოქმედი კანონმდებლობა არ შეესაბამება საერთაშორისო და ევროპული კანონმდებლობის მოთხოვნებს. განსაკუთრებით პრობლემურია ის საკითხი, რომ დღეს ნადირობა დაშვებულია თითქმის ნებისმიერ ტერიტორიებზე, სადაც არ მოქმედებს მენეჯმენტის გეგმები. ეს კი არ შეესაბამება „ფასიანი ბუნებათსარგებლობის პრინციპს“ და გარემოსდაცვითი ინფორმაციის დროულად და ობიექტურად მიღების თაობაზე საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნას;

(4) დაურეგულირებელია მონადირის სტატუსის საკითხი. კერძოდ, მოქმედი კანონმდებლობით, პირი, რომელიც სანადირო იარაღის ტარების უფლებას მოიპოვებს, იმავდროულად არის მონადირე, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის მოთხოვნებს;

(5) მოუწესრიგებელია სამოადირეო ტერიტორიის გამოყოფის, მისი გადაცემისა და მენეჯმენტის საკითხები. ამ მხრივ, რაციონალური ბუნებათსარგებლობის თვალსაზრისით, ლიცენზირების დღეს მოქმედი წესი არსებულ საჭიროებებს ვერ პასუხობს;

(6) ინსტიტუციური მოწყობის გაძლიერების მიზნით, არსებობს თვითრეგულირებაზე დაფუძნებული მონადირეთა ფედერაციის (ასოციაციის) შექმნის საჭიროება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტის მიზანია ნადირობის სფეროს მომწესრიგებელი კანონმდებლობის უნიფიკაცია და ჰარმონიზაცია, ასევე, ცალკეული გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ტრანსფარენტულობა, ძირითადი სამართლებრივი ინსტიტუტების საპარლამენტო კანონის დონეზე და მათთვის სტაბილურობის შენარჩუნება.

კანონპროექტი მიმართულია იმ ნაკლოვანებების დაძლევისა და დეფიციტების შევსებისაკენ, რომელიც გამოკვეთილია მისი შემუშავების მიზეზებში. ის ქმნის ისეთ საკანონმდებლო საფუძვლებს, რომელიც უზრუნველყოფს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ საკუთარი უფლებამოსილების სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპების შესაბამისად განხორციელებას.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, განისაზღვრა საკუთრივ „ნადირობის კანონის“ ძირითადი მიზნები და ამოცანები (იხ. კოდექსის პროექტის მე-3 მუხლი):

- ნადირობის, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, შენარჩუნება, ასევე, სოციალური თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული ნადირობის უფლების განხორციელების უზრუნველყოფა;
- გარეული ცხოველებისა და მათი საბინადრო გარემოს ზრუნვის ვალდებულებაზე დაფუძნებული სანადირო სახეობებით მდგრადი სარგებლობის უზრუნველყოფა;
- ნადირობამ საფრთხე არ შეუქმნას გარემოს, მოსახლეობას და საკუთრებას;
- გარეულ ცხოველთა მიმართ სასტიკი მოპყრობისა და წამების თავიდან აცილება.
- თვითრეგულირებაზე დაფუძნებული სამონადირეო ორგანიზაციული წარმონაქმნების შექმნისა და საქმიანობის სამართლებრივი მოწესრიგება.

კოდექსის მიზანია ასევე საქართველოში ნადირობის სფეროს კანონმდებლობის ევროპულ და საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებთან ჰარმონიზაცია. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ბერნის კონვენციის, ფრინველთა კონსერვაციის შესახებ ევროკავშირის 2009/147/EC დირექტივის და

ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ ევროკავშირის 92/43/EC დირექტივის მოთხოვნები.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

კანონპროექტი შედგება IX თავისა და 46 მუხლისგან.

I თავი შედგება 5 მუხლისაგან, რომელიც მოიცავს ზოგად დებულებებს და საერთო სხვა თავებისათვის. პირველივე მუხლი განსაზღვრავს *კანონის მოწესრიგების სფეროს,* რომლის თანახმათ, კანონი აწესრიგებს ნადირობის როგორც გარეულ ცხოველთა სამყაროს ობიექტების სარგებლობისა და ნადირობის მართვასთან დაკავშირებულ სხვა სამართლებრივ ურთიერთობებს. იქვე კეთდება დათქმა, რომ გარეულ ცხოველთა და მათი საბინადრო გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება ბიომრავალფეროვნების დაცვის, დაცული ტერიტორიებისა და ტყის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

კანონის პროექტის მე-2 მუხლი მოიცავს მხოლოდ იმ *ტერმინთა განმარტებას,* რომელიც გამოყენებულია ტექსტში და რომელიც იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით საჭიროებს განმარტებას. კანონში გამოყენებული სხვა ტერმინები, რომელიც არ ტერმინთა განმარტებაში და არც კანონის ტექსტში არ არის განმარტებული, უნდა განიმარტოს შესაბამის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, თუ ის არ ეწინააღმდეგება ამ კანონის მიზნებს.

კანონის მე-4 მუხლი ერთ-ერთი ცენტრალურია. ის განსაზღვრავს გარეულ ცხოველებზე საკუთრების უფლებისა და ნადირობის უფლების საკითხებს, რომელიც კანონპროექტში, განსხვავებით მოქმედი კანონმდებლობისაგან, სრულიად ახლებურადაა გაგებული. კანონპროექტით *ნადირობის უფლება გაგებულია* სამონადირეო ტერიტორიის მმართველის მიერ სანადირო სახეობაზე ნადირობის უფლების მოპოვება, რომელიც განუყოფელია გარეულ ცხოველთა სახეობებსა და მათი ბუნებრივ საარსებო გარემოზე ზრუნვის ვალდებულებისაგან. შესაბამისად, ნადირობის უფლება გულისხმობს ნადირობის განხორციელებას მხოლოდ სპეციალურად მოწყობილ სამონადირეო ტერიტორიაზე, რომელსაც ჰყავს მმართველი, რითაც ის მოქმედი კანონმდებლობის მიდგომებისაგან პრინციპულად განსხვავებულია.

ზოგად დებულებებშივე დარეგულირებულია *დამოუკიდებელი კომისიის საკითხი (მუხლი 5).* კომისია იქმნება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, რომლის შემადგენლობაში შესაძლებელია შედიოდნენ სამინისტროს, სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს, სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტოს, მონადირეთა ეროვნული ფედერაციის, შესაბამისი სამეცნიერო ინსტიტუტებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, სხვა დაინტერესებული პირები, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში, აგრეთვე, შესაბამისი დაინტერესებული მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი. კომისიის კომპეტენცია გულისხმობს ა) სამონადირეო ტერიტორიის გამოყოფის, ბ) მის სამართავად გადაცემის და გ) სანადირო კვოტების დადგენის თაობაზე გადაწყვეტილების მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

II თავი არეგულირებს სამონადირეო ტერიტორიის გამოყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს. პირველ რიგში განსაზღვრულია *სამონადირეო ტერიტორიის მოწყობის მატერიალური წინაპირობები* (მე-6 მუხლი), რომლის თანახმად, სამონადირეო ტერიტორიის გამოყოფა დასაშვებია სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტის ან/და კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე. აქედან უნდა გამოიყოს ორი შემთხვევა: ა) პირველი, სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამონადირეო ტერიტორიის მოწყობის საკითხი სამინისტროს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებს მიეკუთვნება, რომელიც აღსრულებული უნდა იქნეს სწორად; ბ) რაც შეეხება კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს, იქ სამონადირეო ტერიტორიის მოწყობა შესაძლებელი იქნება მხოლოდ შესაბამისი მესაკუთრის თანხმობის საფუძველზე (მე-8 მუხლი).

კანონპროექტს *ცალკეული სამონადირეო ტერიტორიის მოცულობასთან* დაკავშირებით შემოაქვს კანონისმიერი დათქმის პრინციპი და მიუთითებს მისი გამოყოფის მხოლოდ არსებით მატერიალურ კრიტერიუმებზე. მის თანახმად (მე-6 მუხლი), ცალკეული სამონადირეო ტერიტორია არ უნდა იყოს იმდენად მცირე, რომლის ფარგლებში შეუძლებელი იქნება სანადირო სახეობების მდგრადი მართვა, სარგებლობა და ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებული მთლიანობა. რაც შეეხება კონკრეტულ წინაპირობებს, ის განისაზღვრება „სამონადირეო ტერიტორიის გამოყოფის კრიტერიუმების დადგენის შესახებ" მინისტრის ბრძანებით. იმავე ნორმაში განსაზღვრება ასევე ისეთ არეალები, სადაც დაუშვებელია სამონადირეო ტერიტორიის მოწყობა (სახელმწიფო ნაკრძალები, ეროვნულ პარკები და მჭიდროდ დასახლებული პუნქტები).

მატერიალური კრიტერიუმების გარდა, კანონპროექტი აწესრიგებს *სამონადირეო ტერიტოიის მოწყობის პროცედურულ საკითხებსაც (მუხლი 7).* სამონადირეო ტერიტორიის გამოყოფის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსიელბა აქვს სამინისტროს, დამოუკიდებელი კომისიის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე. კანონპროექტი ეხმიანება სზაკ-ით განსაზღვრულ პრინციპს და ადგენს, რომ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძელი შეიძლება იყოს როგორც სამინისტროს ინიციატივა, ისე დაინტერესებული პირის განცხადება (წინადადება). ამ უკანასკნელ შემთხვევაში, განცხადება უნდა მოიცავდეს სრულყოფილ ინფორმაციას, რომელიც სამინისტროს უფლებას მისცემს იმსჯელოს სამონადირეო ტერიტორიის გამოყოფის მიზანშეწონილობაზე. ეს ნორმა ემყარება პროცედურული და წინასაპროექტო სამუშაოების კერძო სექტორისა და სახელმწიფოს შორის განაწილების პრინციპს, რომელიც საკუთრივ დაინტერესებული პირის ინტერესებშია და აქვს განტვირთვის ფუნქციაც.

სამონადირეო ტერიტორიის გამოყოფის თაობაზე დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში სამინისტრო უზრუნველყოფს ა) ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობას (თუ სამონადირეო ტერიტორიის არეალში მოქცეულია კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი) და ბ) საზოგადოებისათვის დოკუმენტაციის საჯარო გაცნობას *(პარტიციპაციის უფლება).* წინასაპროექტო ინფორმაციისა და საზოგადოების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებების გათვალისწინებით, დამოუკიდებელი კომისია ამზადებს გადაწყვეტილების პროექტს და წარუდენს მინისტრს. სამინისტრო კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების პროექტის წარდგენიდან 10 დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას სამონადირეო ტერიტორიის გამოყოფის ან გამოყოფაზე უარის თქმის თაობაზე.

III თავი აწესრიგებს იმ სამონადირეო ტერიტორიის სამართავად გადაწემის წესს, რომლის გამოყოფა და რომლისთვის სამონადირეო სტატუსის მინიჭება ხდება მე-2 თავით დადგენილი წესების საფუძველზე. თუ ტერიტორიას არა აქვს სამონადირეო ტერიტორიის სტატუსი, მაშინ გადაცემის წარმოება არ ტარდება.

მესამე თავის პირველივე მუხლი (მე-9 მუხლი) numerus clausus პრინციპით ადგენს, თუ ვინ შეიძლება იყოს სამონადირეო ტერიტორიის მმართველი. ასეთია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა, არასამეწარმეო იურიდიული პირი ან „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე საქართველოში დარეგისტირებულ იურიდიულ პირს. შესაბამისად, ფიზიკურ პირები ან სხვა სახის ორგანიზაციული წარმონაქმნები, ასევე, სხვა სახელმწიფოში დარეგისტრირებული იურიდიული პირები დაუშვებელია გახდნენ სამონადირეო ტერიტორიის მმართველები. ამავე დროს, კანონპროექტის თანახმად, სამონადირეო ტერიტორია სამონადირეო ტერიტორიის მმართველს გადაეცემა, თუ მის მიმართ არ ფიქსირდება ნადირობის სფეროში ჩადენილი სისხლისსამართლებრივი დანაშაული ან ისეთი ხასიათის გადაცდომა, რომელიც მისი სანდოობის თაობაზე იწვევს დასაბუთებულ ეჭვს. ეს წინაპირობა მოქმედებს იურიდიული პირის და არა მისი წევრების მიმართ. მონოპოლიური საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით, დაუშვებელია ერთ იურიდიულ პირს სამართავად გადაეცეს ერთზე მეტი სამონადირეო ტერიტორია.

კანონპროექტით დადგენილია *სამონადირეო ტერიტორიის გადაცემის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების წესები (მე-10 მუხლი),* რომელიც ემყარება სზაკ-ით დადგენილი საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესებს. ტერიტორიის გადაცემის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოება იწყება სამინისტროს ინიციატივით ან დაინტერესებული მხარის განცხადების საფუძველზე. სამონადირეო ტერიტორიის სამართავად გადაცემის შესაძლებლობის თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის ვადაში სამინისტრო ამზადებს საკონკურსო დოკუმენტაციას და აქვეყნებს შესაბამის ოფიციალურ ვებგვერდზე. ონკურსის გამოცხადებიდან 40 დღის განმავლობაში მხარეებს უნდა მიეცეთ განცხადების წარდგენის შესაძლებლობა. ელექტრონული ფორმით მიღებული საკონკურსო წინადადებების შეფასებას განაცხადის მიღებისთვის დადგენილი ვადის ამოწურვიდან 20 დღის ვადაში ახორციელებს კომისია და გამარჯვებული კონკურსანტის თაობაზე შუალედური გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს მინისტრს.

კანონპროექტის თანახმად, *გამარჯვებული კონკურსანტის შერჩევა ხდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით (მე-11 მუხლი):* ა) პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების, ბ) სამონადირეო ტერიტორიის მენეჯმენტის კონცეფციის, გ) ადგილობრივი სიტუაციის ცოდნის და დ) ფინანსური გეგმის (საჭიროების შემთხვევაში) შესაბამისად. საკონკურსო წინადადების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს ისეთ იურიდიულ პირს, რომლის წევრთა უმრავლესობაში არის სამონადირეო ტერიტორიის არეალში მდებარე მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, მოსარგებლე ან/და შესაბამისი მუნიციპალიტეტის მაცხოვრებელი. საკონკურსო წინადადების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას დამატებითი უპირატესობა ენიჭება ასევე იმ იურიდიულ პირს, რომელიც ორიენტირებული არ არის მოგებაზე.

IV თავი არეგულირებს უკვე სამართავად გადაცემული სამონადირეო ტერიტორიის მენეჯმენტისა და მონიტორინგის ვალდებულებას:

(1) სამონადირეო ტერიტორიის მენეჯმენტის 10 წლიანი გეგმა (მუხლი 12), რომლის მიზანია შესაბამის ტერიტორიულ არეალში ცხოველთა სახეობების დაცვის, რეპროდუქციის, მდგრადი სარგებლობისა და მონიტორინგთან დაკავშირებული საქმინობის უზრუნველყოფა. ამ მიზნის შესაბამისად ზუსტად არის განსაზღვრული მენეჯმენტის გეგმის შემადგენლობა, ხოლო მისი დეტალური შემადგენლობა და შექმნის მეთოდოლოგია უნდა განისაზღვროს „ნადირობის მენეჯმენტის გეგმის შედგენის წესის შესახებ“ მინისტრის ბრძანებით;

(2) სამონადირეო სახეობათა მონიტორინგი (მუხლი 13), რომლის მიზანია სანადირო სახეოებათა მონიტორინგის მიზანია სანადირო სახეოების პოპულაციის მდგრადი მართვა და სარგებლობის რეგულირება. კანონპროექტი ერთმანეთისაგან განასხვავებს სავალდებულო და დამოუკიდებელი მონიტორინგის ფორმებს: ა) სავალდებულო მონიტორინგი ხორციელდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, რომელსაც ორგანიზებას უწევს და აფინანსებს სამონადირეო ტერიტორიის მმართველი; ბ) დამოუკიდებელი მონიტორინგი შესაძლებელია განხორციელდეს სამინისტროს, სხვა ადმინისტრაციული ორგანოების, სამეცნიერო ინსტიტუტების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ან/და სხვა დაინტერესებული პირების მიერ. სანადირო სახეოების მონიტორინგის მოთოდიკის საკითხი წესრიგდება „სანადირო სახეობათა მონიტორინგის მეთოდიკის დამტკიცების შესახებ“ მინისტრის ბრძანებით.

(3) ნადირობის წლიური და დღიური კვოტა (მუხლი 14), რომლის თანახმად, ნადირობა დაშვებულია მხოლოდ ამ კვოტების ფარგლებში, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა (მე-4-მე-5 პუნქტები). ნადირობის ყოველწლიური კვოტა სამონადირეო ტერიტორიის მმართველის მიერ თანხმდება სამინისტროსთან. სამინისტრო უფლებამოსილია დღიური ლიმიტი ასევე დაადგინოს სანადირო სეზონზე ცალკეული რეგიონისთვის. ასეთ შემთხვევაში სანადირო ტერიტორიისთვის სპეციალური დღიური ლიმიტი დგინდება მხოლოდ მაშინ, თუ ის გამართლებულია ამ ტერიტორიის სპეციფიკის გათვალისწინებით.

(4) დეტალურადაა მოწესრიგებული დაცული სახეობებისა და სანადირო სახეობების აღწარმოებისა და სამონადირეო მიზნებისთვის გამოყენების (მუხლი 16-18), სამონადირეო ტერიტორიაზე ნადირობის განხორციელების, ნადირობის საფასურისა და მოსაკრებლის გადახდის საკითხები (მუხლი 15);

(5) სამონადირეო ტერიტორიის მმართველის კერძოსამართლებრივი უფლებები (მუხლი 19), რომლის თანახმად, სამონადირეო ტერიტორიის მმართველი უფლებამოსილია გამოიყენოს სამონადირეო ტერიტორიის ფარგლებში მოქცეული მიწის ნაკვეთი ნადირობის განხორციელების მიზნებისთვის, გარდა იმ ნაკვეთისა, რომელიც შემოღობილია, ან რომელზეც კერძო მესაკუთრის მოთხოვნის საფუძველზე აკრძალულია ნადირობის განხორციელება. რაც შეეხება მიწის ნაკვეთთან მყარად დაკავშირებულ ნადირობისათვის საჭირო საშუალებებს, მისი მოწყობა საჭიროებს მიწის მესაკუთრის წინასწარ წერილობით თანხმობას.

V თავი არეგულირებს მონადირის და ნადირობის წესებთან დაკავშირებულ საკითხებს. კანონპროექტის თანახმად, დღეს მოქმედი წესებისაგან განსხვავებით, *მონადირე შეიძლება იყოს* მხოლოდ ის პირი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამის წინაპირობებს და ჩააბარებული აქვს სპეციალურ გამოცდა, რომლის შედეგად გაიცემა ნადირობის უვადო მოწმობა (მუხლი 21).

კანონპროექტი *ნადირობის წესებთან დაკავშირებით* განსაზღვრავს სანადირო სახეობის განსაზღვრის კრიტერიუმებს, სანადიროდ დაშვებული და დაუშვებელი იარაღების ძირითად ჩამონათვალს, არეგულირებს მონადირე ფრინველების (ბაზისა) და მონადირე ძაღლის საკითხს, ნადირობის ვადების დადგენის წინაპირობებს და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და ცხოველთა წამების აკრძალვის საკითხებს (მუხლი 22-28).

VI თავი აწესრიგებს ნადირობის ზედამხედველობისა (მათშორის ეგერის მიერ შიდა კონტროლის) და ზიანის რეგულირების საკითხებს. კანონპროექტი ერთმანეთისაგან განასხვავებს გარემოსათვის მიყენებული ზიანის ოდენობის განსაზღვრისა და ანაზღაურების წესს, მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების და სამონადირეო ტერიტორიის მმართველისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესს (მუხლი 29-34), რაც მოქმედი კანონმდებლობით არ იყოს დარეგულირებული.

VII თავი აწესრიგებს მონადირეთა ეროვნული ფედერაციის დაფუძნებისა და მასში გაწევრიანების წესსა და პირობებს, აგრეთვე, მის უფლებამოსილების დეტალურ კატალოგს (მუხლი 35-38). კანონპროექტის თანახმად, ფედერაცია არ იქნება სამინისტროს შემადგენლობაში შემავალი სტრუქტურული ერთეული, არამედ თვითრეგულირებაზე დაფუძნებული ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც უზრუნველყოფს მონადირეთა სწავლებასა და ტესტირებას. ტესტირების განხორციელების მიზნით, ის უფლებამოსილი იქნება შესაბამისი ხელშეკრულება დადოს შსს მომსახურების სააგენტოსთან. ფედერაცია უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა გადაწყვეტილების პროცესში, სამინისტროს წარუდგინოს გარკვეული სახის ინიციატივები, შეასრულო შუამავლის როლი მონადირეს, სამონადირეო ტერიტორიის მმართველსა და სამინისტროს შორის, მათშორის, დოკუმენტაციის მიღების, მათი გადამუშავებისა და შემდგომ სამინისტროში წარდგენის თვალსაზრისით, რაც ემსახურება პროცესის ეკონომიურობის პრინციპის განხორციელებას.

VIII თავი მოიცავს ნადირობის სფეროში ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ცალკეულ სახეებს. შესაბამისად, ცვლილება შედის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში. ამ უკანასკნელის რეგულირების სფეროში რჩება მხოლოდ ისეთის სახის საკითხები როგორიცაა კონფისკაციის, პირადი გასინჯვის და ნივთების გასინჯვის, დაკავების, დამრღვევის მიყვანის, ხანდაზმულობის და სხვა მსგავსი საკითხები.

IX თავი მოიცავს გარდამავალ და დასკვნით დებულებებს, რომლის თანახმად:

(1) ამ კანონის ამოქმედებამდე *არსებული სამონადირეო მეურნეობა* და მასზე გაცემული ლიცენზია ინარჩუნებს იურიდიულ ძალას;

(2) 2019 წლის 1 მარტამდე: ა) სამონადირეო ტერიტორიის გარეთ ნადირობა გადამფრენ ფრინველებზე ხორციელდება იმავე წესით, რაც დადგენილი იყო ამ კანონის ძალაში შესვლამდე; ბ) დასაშვებია გლუვლულიანი და ხრახნლულიანი თოფებისთვის ტყვიის შემცველი მასალის გამოყენება; გ) ამ კანონის ძალაში შესვლამდე მონადირესთან გათანაბრებული პირები ინარჩუნებენ სტატუსს. 2019 წლის 1 მარტიდან „ა“ და „ბ“ პუნქტებში მოცემული უფლებამოსილება იკრძალება, ხოლო მონადირეებმა უნდა ჩააბარონ გამოცდები ახალი წესების შესაბამისად.

(3) ამ კანონის ძალაში შესვლამდე *არსებული მონადირე ფრინველების (ბაზის) ლეგალიზება* ხდება სამინისტროს მიერ დაინტერესებული მხარის განცხადების საფუძველზე, რომელიც სამინისტროს უნდა წარედგინოს ამ კანონის ძალაში შესვლიდან 1 კალედანრული წლის ვადაში.

(4) მონადირეთა დრიებითი ფედერაცია და მონადირეთა ფედერაციის პირველი საერთო კრება: ა) სამინისტრო კანონის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 1 თვისა ქმნის შესაბამისი პირებისგან შემდგარ მონადირეთა დროებით საბჭოს, რომელსაც უფლებამოსილება უწყდება ფედერაციის დამფუძნებელი კრების ჩატარებისთანავე; ბ) მონადირეთა დროებითი საბჭო არაუგვიანეს 2017 წლის 1 სექტემბრისა იწვევს მონადირეთა ფედერაციის დამფუძნებელ კრებას, რომელშიც მონაწილეობის უფლება აქვთ დროებითი საბჭოს წევრებს და პირებს, რომელებიც წერილობით გამოთქვამენ სურვილს დამფუძნებელ კრებაში მონაწილეობის მიღებაზე. ფედერაციის დამფუძნებელ კრებაზე აირჩევა მმართველი ორგანოები და მტკიცდება ფედერაციის წესდება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები.

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

კანონპროექტის მიღება არ გააუარესებს იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობას, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი;

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი ხელს შეუწყობს ევროკავშირის 2009/147/EC დირექტივის და ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ ევროკავშირის 92/43/EC დირექტივის მოთხოვნების იმპლემენტაციას საქართველოს ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

კანონპროექტი შემუშავდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში.

კანონპროექტის მომზადებაში მონაწილეობა მიიღეს გერმანელმა საერთაშორისო და ქართველმა ადგილობრივმა ექსპერტებმა.

კანონპროექტი შემუშავდა სხვადასხვა არასამთავრობო და კერძო სექტორთან კონსულტაციების რეჟიმში.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების)ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტების შეფასება.

ე) კანონპროექტის ავტორი;

კანონპროექტის ავტორია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი;

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.